THE CONGRESS COUNCIL OF EUROPE
LE CONGRÈS CONSEIL DE L'EUROPE

# ხშირად დასმული კითხვები

**1. ტერიტორიულად სად ჩატარდება საზაფხულო ბანაკი 4-9 აგვისტოს?**

*საზაფხულო ბანაკი ტერიტორიულად ჩატარდება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ-ჯერობით არ არის დადასტურებული. შერჩეულ კანდიდატებს აღნიშნულთან დაკავშირებით მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია.*

**2. მთლიანობაში რამდენი ახალგაზრდა შეირჩევა პროექტისთვის და განსაზღვრულია თუ არა კონკრეტული რაოდენობა რეგიონებისთვის?**

*თითოეული რეგიონიდან შეირჩევა 2-3 ახალგაზრდა. ჯამში საზაფხულო ბანაკში მოლოდინია, რომ მონაწილეობას 30-მდე მონაწილე მიიღებს.*

**3. განაცხადის გამოგზავნისას ვიდეოს არდართვა იქონიებს თუ არა გავლენას მონაწილეების საბოლოო შეფასებაზე?**

*არ იქონიებს, ვიდეოს გამოგზავნა არის ნებაყოფლობითი.*

**4. როდის დაუკავშირდებიან შერჩეულ მონაწილეებს და რა არის შემდგომი ეტაპები?**

*შერჩეული კანდიდატები შესაძლოა, მიწვეულნი იყვნენ გასაუბრებაზე. საბოლოო პასუხები ცნობილი იქნება 19 ივლისამდე.*

**5. როგორ ჩამოყალიბდება გუნდები - წინასწარ თუ ბანაკის განმავლობაში?**

*გუნდები დაკომპლექტდება ბანაკის განმავლობაში, რეგიონების მიხედვით.*

**6. რა მოლოდინები არსებობს მონაწილეებთან მიმართებით ბანაკში მონაწილეობის შემდეგ?**

*შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა და განხორციელება მოხდება ბანაკის მსვლელობისას იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად. ეს მოიცავს შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, სასწავლო/საინფორმაციო შეხვედრებს, მენტორინგს და სხვა შესაძლებლობებს, რომელიც ლაბორატორიების გაძლიერებაზე იქნება ორიენტირებული.*

**7. პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს ექნებათ თუ არა ფინანსური/სხვა ტიპის მხარდაჭერა საკუთარი ინიციატივების განსახორციელებლად?**

*დიახ, პროექტი ითვალისწინებს ლაბორატორიების მიერ ინიცირებული პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის მოძიების პროცესში წევრების დაკვალიანებას/მხარდაჭერას.*

**8. ანაზღაურებული იქნება თუ არა ტრანსპორტირება და სხვა საჭიროებები.**

*დიახ, საზაფხულო ბანაკის პერიოდში ტრანსპორტირება და სხვა საჭიროებები უზრუნველყოფილი იქნება.*

**9. რამდენ ხანს გაგრძელდება პროექტი?**

*ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობა საქართველოში“ განხორციელების პერიოდია 2024-2027 წ.წ.*

**10. სად შეეძლებათ ახალგაზრდული ლაბორატორიების წევრებს პროექტის მიერ მხარდაჭერილ ღონისძიებებში მონაწილეობა?**

*პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ბანაკის შემდგომი ღონისძიებებისთვის ფართის დაქირავება და მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.*

**11. სად შეეძლებათ ახალგაზრდული ლაბორატორიების წევრებს (გაფართოების შემდეგ) შეკრება და მუშაობა?**

*აღნიშნული დამოკიდებულია რეგიონის დონეზე არსებულ შესაძლებლობებზე. სივრცე, სადაც ახალგაზრდული ლაბორატორიების წევრების შეკრება იქნება შესაძლებელი შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონის მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით საზაფხულო ბანაკის მონაწილეებთან ერთად მიიღება გადაწყვეტილება, მათ ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად.*

**12. არის თუ არა მოლოდინი შერჩეული წევრების მხრიდან საზაფხულო ბანაკში მონაწილეობამდე რაიმე მასალის წინასარ გაცნობა/მომზადება?**

*თემატური და უნარებზე ორიენტირებულ სესიებზე პასუხისმგებელი ექსპერტების მიერ მომზადებული სასწავლო/სავარჯიშო მასალა შესაძლოა რამდენიმე ხნით ადრე დაეგზავნოთ მონაწილეებს. სხვა მასალის წინასწარ გაცნობა სავალდებულო არ არის.*

